დაზოგვის მსოფლიო დღე 2026

გაკვეთილი VII-XII კლასებისთვის

დრო: 2 გაკვეთილი (90 წთ)

საჭირო მასალები:

- *PPT: WSD 2026_ VII-XII კლასი_გაკვეთილის პრეზენტაცია;*
- *PDF: გამოიცანი სიტყვა - ბარათები;*
- *4 კალამი და პატარა ფურცლები გუნდებისთვის, ტელეფონი - წამზომის დასანიშნად;*
- *დაფა, ცარცი/მარკერი*
- *ინტერნეტი - https://geo.financialfootball.com/ka/play - ფინანსური ფეხბურთის გასაშვებად*

მომზადება:

- *წინასწარ გადმოწერეთ პრეზენტაცია (WSD 2026_ VII-XII კლასი_გაკვეთილის პრეზენტაცია) და გამართეთ პროექტორი, რათა შეძლოთ სლაიდების გაშვება. თუ ამის ტექნიკური შესაძლებლობა არ არის, შეგიძლიათ უბრალოდ ისაუბროთ და მნიშვნელოვანი საკითხები დაფაზე დაუწეროთ მოსწავლეებს.*
- *შეამოწმეთ ინტერნეტი, რათა შეძლოთ ფინანსური ფეხბურთის გაშვება. თუ ამის ტექნიკური შესაძლებლობა არ არის, ეს თამაში გამოტოვეთ.*
- *წინასწარ ამობეჭდეთ და გამოჭერით თამაშის „გამოიცანი სიტყვა“ ბარათები.*
- *კლასი დაყავით 4 გუნდად. თითო გუნდს ჰქონდეს თითო კალამი და რამდენიმე პატარა ფურცელი პასუხების დასაწერად.*
- *საკითხების ახსნისას ეცადეთ, ჯერ მოისმინოთ რამდენიმე მოსწავლის აზრი, შემდეგ კი თქვენც მიაწოდოთ ინფორმაცია.*
- *ქვემოთ მოცემულია სასაუბრო ტექსტი სლაიდების მიხედვით. ტექსტი შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი შეხედულებისამებრ, თქვენი მოსწავლეების მზაობის შესაბამისად*

ნაწილი 1: პრეზენტაცია (30 წთ)

სლაიდი 1:

გამარჯობა, დღეს განსხვავებული გაკვეთილი გვექნება. მინდა, ფულზე ისე ვისაუბროთ, რომ ეს ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოგადგეთ. შემდეგ კი, თამაშის საშუალებით ერთად გავიხსენოთ და ვისწავლოთ ფინანსური ტერმინები.

სლაიდი 2:

სანამ დავიწყებ, გთხოვთ ხელის აწევით მანიშნოთ:

- *ვის გაქვთ მიზანი, რომლის მისაღწევადაც ფული გჭირდებათ? (მოსწავლეები სწევენ ხელს)*
- *ვის გაინტერესებთ, როგორ დაზოგოთ ფული და გაზარდოთ თქვენი დანაზოგი? (მოსწავლეები სწევენ ხელს)*
- *ვის გსურთ იცოდეთ, როგორ დაიცვათ თქვენი ფული ფინანსური თაღლითობისგან? (მოსწავლეები სწევენ ხელს)*

მშვენიერია, ეს სწორედ ის საკითხებია, რაზეც დღეს ვისაუბრებთ.

სლაიდი 3:

ალბათ ყველას გაქვთ რაღაც, რაც გინდათ: ახალი ტელეფონი, კონცერტზე წასვლა, რაიმე კურსის გავლა ან მოგზაურობა. სურვილი ფინანსურ მიზნად მაშინ იქცევა, როცა ვიცით, კონკრეტულად რა გვინდა, რა თანხა გვჭირდება და როდის გვინდა მისი მიღწევა.

- *თქვენი აზრით, რომელია უბრალოდ სურვილი და რომელი ფინანსური მიზანი? „მინდა ახალი ყურსასმენები“ და „მინდა 6 თვეში 300-ლარიანი ყურსასმენების ყიდვა და ამისთვის ყოველთვე 50 ლარის გადადება“ (მოსწავლეები პასუხობენ)*

მართალია, მეორე უკვე ფინანსური მიზანია. ის კონკრეტულია, დროში გაწერილია და გაზომვადია.

სლაიდი 4:

მიზანი გვაძლევს მიმართულებას და მოტივაციას, დავზოგოთ, ანუ დავაგროვოთ, სამომავლოდ შევინახოთ ჩვენი ფულის, შემოსავლის ნაწილი.

დანაზოგი არ არის უბრალოდ ცალკე გადადებული თანხა, ეს არის თქვენი ოცნება, გეგმა და ამავე დროს **ფინანსური უსაფრთხოებაც!** დანაზოგი გვეხმარება იმაშიც, რომ ფინანსურად მომზადებული შევხვდეთ გაუთვალისწინებელ მოვლენებს, მაგალითად, ჩვენთვის სასურველი ნივთი მოულოდნელად გამოჩნდა გასაყიდად და ამისთვის გვაქვს უკვე დანაზოგი. ან ისეთი რაღაც მოხდა, რამაც ზედმეტი ხარჯი გამოიწვია, მაგალითად, ტექნიკა გაგვიფუჭდა ან სასკოლო ნივთი დაგვეკარგა - დანაზოგი აქაც დაგვეხმარება.

სლაიდი 5:

ფულის დაზოგვა არ ნიშნავს, რომ დღეს ყველაფერზე უარს ვამბობთ - ეს ნიშნავს, რომ შემოსავალს - იქნება ეს ჯიბის ფული, ნაჩუქარი ფული თუ გამომუშავებული ფული - წინასწარ ვანაწილებთ. ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც სამომავლოდ ფულის განაწილებისას შეიძლება გამოიყენოთ არის 50-30-20-ის წესი:

შემოსავლის 50% უნდა გაანაწილოთ საჭიროებებზე - ანუ ისეთ რაღაცეებზე, რაც აუცილებელია ცხოვრების ნორმალური პირობების შესანარჩუნებლად.

- *მაგალითად, რა შეიძლება იყოს ასეთი? (მოსწავლეები პასუხობენ, თუ არა თქვენ იტყვით: კვება, ტრანსპორტი, საკანცელარიო ნივთები და ა.შ)*

30% მიდის სურვილებზე - ანუ ისეთ რაღაცეებზე, რაც აუცილებელი არ არის, თუმცა გვინდა და სიხარულს გვანიჭებს,

- *მაგალითად, რა შეიძლება იყოს ასეთი? (მოსწავლეები პასუხობენ, თუ არა თქვენ იტყვით: გართობა, სასუსნავები, სათამაშოები და ა.შ.)*

20% კი უნდა წავიდეს დანაზოგზე - ეს არის თქვენი მიზნისთვის გადადებული ფული

მაგალითად, თვეში 100 ლარის შემოსავალი, შეიძლება ასე გადანაწილდეს:

- 50 ლარი - საჭიროებები
- 30 ლარი - სურვილები
- 20 ლარი - დანაზოგი, რაც წელიწადში 240 ლარია.

- *რას იყიდდით 240 ლარად? (მოსწავლეები პასუხობენ)*

შენიშვნა: დროის დაზოგვის მიზნით, მიიღეთ მხოლოდ 3-4 პასუხი და გააგრძელეთ.

სლაიდი 6:

ფულის დაზოგვა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დაზოგვის მსოფლიო დღეც კი არსებობს - 31 ოქტომბერი. მისი მიზანია, ადამიანებმა უკეთ გაიაზრონ დაზოგვის მნიშვნელობა და ისწავლონ პირადი ფინანსების გონივრულად მართვა. ჩვენი ეს დღევანდელი შეხვედრაც სწორედ დაზოგვის დღისადმი მიძღვნილი კამპანიის ფარგლებში მიმდინარეობს.

სლაიდი 7:

ფულის დაზოგვაში და მართვაში საბანკო მომსახურების გამოყენებაც დაგეხმარებათ. მაგალითად, დანაზოგი სახლის ნაცვლად შეგიძლიათ შეინახოთ ბანკში **ანაბარზე, ანუ დეპოზიტზე,** ან ამ თანხის ინვესტირება გააკეთოთ - ამაზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ.

- *თქვენი აზრით, რატომ შეიძლება სჯობდეს დანაზოგის ბანკში შენახვა სახლში შენახვას? (მოსწავლეები პასუხობენ)*

შენიშვნა: დროის დაზოგვის მიზნით, მიიღეთ მხოლოდ 3-4 პასუხი და გააგრძელეთ.

თუ დანაზოგს ბანკში შევინახავთ, მასზე გარდა ჩვენ მიერ შეგროვებული ფულისა, დამატებით, **საპროცენტო სარგებელიც** დაგვერიცხება. ამასთან, ბანკში ფულის შენახვა შეიძლება უფრო მოსახერხებელი და უსაფრთხო იყოს. თანაც, როცა ფული ვადიან დეპოზიტზე გვიდევს, ანუ კონკრეტული დროის შემდეგ უნდა გამოვიტანოთ, გაცილებით ნაკლებია მისი დახარჯვის ცდუნება, ვიდრე სახლში შენახული ფულისა.

სლაიდი 8:

თუმცა ბანკი მხოლოდ ფულის შენახვის ადგილი არაა. ბანკები ასევე გასცემენ სესხებს ადამიანებსა და კომპანიებზე. ადამიანები სესხით აღებული თანხით ყიდულობენ სხვადასხვა სამომხმარებლო ნივთებს, უძრავ ქონებას და ა.შ. კომპანიები კი - აფართოებენ ბიზნესს. ამ გზით, ბანკები ხელს უწყობენ ეკონომიკას. გარდა დანაზოგების მიღებისა და სესხების გაცემისა, ბანკები სხვადასხვა პროდუქტსაც სთავაზობენ მომხმარებლებს.

სლაიდი 9:

TOP 3 პროდუქტი, რომელიც მოსწავლეებმა ბანკში მშობლების თანხმობით შეიძლება გახსნან, არის: საბანკო ბარათი, დეპოზიტი ან ელექტრონული ყულაბა და მობილბანკი. **საბანკო ბარათი** გეხმარებათ თქვენი ფულის გამოყენებაში, **ელექტრონული ყულაბა** - შეგროვებაში, ხოლო **მობილ ბანკი** ანგარიშების ონლაინ მართვასა და ფულის კონტროლში. არ დაგავიწყდეთ, მანამ, სანამ რომელიმე ბანკის პროდუქტით ისარგებლებდეთ, ერთმანეთს შეადარეთ სხვადასხვა ბანკის შემოთავაზება: რა საკომისიოები აქვს? რამდენი % ერიცხება ჩემს დეპოზიტს? სხვა რა პირობებს გვთავაზობს? რამდენად ახლოსაა ჩემთვის ბანკის ფილიალები და ბანკომატები?

სლაიდი 10:

მოკლედ, ბანკი გვეხმარება ჩვენი ფულის მართვაში, ამ ყველაფერს კი **საქართველოს ეროვნული ბანკი** აკონტროლებს. ის არის ქვეყნის მთავარი ბანკი, რომელიც ბანკებსა და ასევე სხვა საფინანსო ორგანიზაციებს ზედამხედველობს, რათა მათ წესების დაცვით, უსაფრთხოდ და გამართულად იმუშაონ და დაცული იყოს ჩვენი დეპოზიტები.

ეროვნული ბანკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ქვეყანაში ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაა. ეს ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს, ქვეყანაში ფასების საერთო

დონის ზრდა, ანუ ინფლაცია, ზომიერი იყოს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ ფასები პროდუქტებზე - არ იცვლებოდეს ძალიან ხშირად და მკვეთრად: მაგალითად, რაიმე დღეს ღირდეს 2 ლარი, ხვალ 20, ზეგ 3 და ასე შემდეგ.

ეროვნული ბანკი ის ერთადერთი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელსაც აქვს ეროვნული ვალუტის - ლარის - ქაღალდის ფულის, ანუ ბანკნოტების და მონეტების გამოშვების უფლება.

ეროვნული ბანკი ასევე აქტიურად ზრუნავს მოსახლეობის ფინანსური განათლების ამაღლებაზე. ამისთვის მან შექმნა ფინანსური განათლების პლატფორმა - ფინედუ.

სლაიდი 11:

მოდი, ახლა ცოტა შორს წავიდეთ და დანაზოგის გაზრდის გზაც ვახსენოთ - ინვესტირება. თუ დაზოგვისას თანხას უბრალოდ ვდებთ, ინვესტირებისას ფულს ვაბანდებთ ისეთ საქმიანობაში ან აქტივში, რომლისგანაც მომავალში შემოსავლის მიღებას ველით. მაგრამ ინვესტიცია გარანტირებული მოგება არ არის, მას რისკიც ახლავს. ინვესტიციის ღირებულება შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს და შესაძლებელია ინვესტირებული თანხის ნაწილი, ან მთლიანად თანხა დავკარგოთ. ამიტომ ინვესტირების დაწყებამდე მნიშვნელოვანია, უფრო მეტი ინფორმაციის მოძიება.

- *მოდი ჯერ თქვენ მითხარით, რა გაგიგიათ, რაში აკეთებენ ადამიანები ინვესტირებას? (მოსწავლეები პასუხობენ)*

სლაიდი 12:

ინვესტირების რამდენიმე განსხვავებული გზა არსებობს, თუმცა დღეს ჩვენ ორ ინსტრუმენტზე გავამახვილებთ ყურადღებას. ეს არის აქცია და ობლიგაცია.

აქცია კომპანიის საკუთრების წილს ნიშნავს. აქციის შეძენისას კომპანიის მცირე თანამფლობელი ხდებით. თუ კომპანია კარგად ვითარდება, აქციის ფასი შეიძლება გაიზარდოს, ზოგიერთი კომპანია კი თავის აქციონერებს დივიდენდს, ანუ სარგებელს უხდის. ეს არის მოგების მიღების ორი გზა. თუმცა, აქციის ფასი შეიძლება დაეცეს, ამიტომ მოგება გარანტირებული არ არის.

ობლიგაცია კი სესხის მსგავსია. როდესაც კომპანიის ობლიგაციას ყიდულობთ, ამ დროს თქვენ კომპანიას ასესხებთ თანხას, ხოლო კომპანია ვალდებულებას იღებს, პირობების შესაბამისად, გადაგიხადოთ პროცენტი, შემდეგ კი საწყისი თანხაც დააბრუნოს. თუმცა, აქაც არსებობს რისკი, მაგალითად, ობლიგაციის გამომშვებმა კომპანიამ ვალდებულება ვერ შეასრულოს, ან ობლიგაციის ფასი ბაზარზე შეიცვალოს.

სლაიდი 13:

ინვესტირება მხოლოდ მდიდარი ადამიანებისთვის არ არის. თუმცა, ინვესტირების დაწყებამდე, ცოდნა და სიფრთხილეა საჭირო. საინვესტიციო მომსახურებას ზოგიერთი ბანკიც გვთავაზობს. ასევე, არსებობს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბროკერო კომპანიები - შუამავლები, რომლებიც ადამიანებს ინვესტირებაში ეხმარებიან.

სანამ ინვესტირებას დაიწყებდეთ, ჰკითხეთ საკუთარ თავს:

- მესმის, რაში ვაბანდებ ფულს?
- საიდან უნდა მივიღო შემოსავალი?

- რა შეიძლება დავკარგო?
- რამდენი ხანი უნდა დავაბანდო თანხა?
- რომელ კომპანიაში ვაბანდებ თანხას? შემიძლია მისი გადამოწმება?

სლაიდი 14:

ახლა წარმოიდგინეთ, ნახეთ ასეთი შეთავაზება: „ჩადე 1000 ლარი და ყოველთვე გარანტირებულად მიიღე 300 ლარი. თუ მეგობარს მოიყვან, კიდევ მეტ სარგებელს მიიღებ“.

- *რას იფიქრებთ? (მოსწავლეები პასუხობენ)*

სლაიდი 15:

ინვესტირებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ უნდა იცოდეთ: ყველა, ვინც დანაზოგის გაზრდას გპირდებათ, აუცილებლად კეთილსინდისიერად არ მოქმედებს. არსებობს ფინანსური პირამიდაც. ფინანსური პირამიდის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია, რომ დაპირებული სარგებელი ძირითადად ახალი მონაწილეების მიერ ფულის შემოტანაზეა დამოკიდებული და არა კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე. ამიტომ, როცა ახალი მონაწილეების მოზიდვა ვეღარ ხერხდება, სქემა იშლება და ბევრი ადამიანი ფულს უკან ვეღარ იბრუნებს. საეჭვო ნიშანია ასევე, ძალიან მაღალი ან გარანტირებული მოგების დაპირება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამბობენ, რომ რისკი თითქმის არ არსებობს.

სლაიდი 16:

როგორ გადავამოწმოთ საეჭვო შეთავაზება?

პირველ რიგში: გადაამოწმეთ კომპანიის დასახელება, მისამართი. შეამოწმეთ ეროვნული ბანკის ვებგვერდზე - აქვს თუ არა ამ კომპანიას შესაბამისი საქმიანობისთვის საჭირო რეგისტრაცია ან ლიცენზია.

მეორე: მოითხოვეთ პასუხი - კონკრეტულად, რისგან მიიღება შემოსავალი?

მესამე: ყურადღებით წაიკითხეთ ხელშეკრულება, გაარკვიეთ საკომისიოები და თანხის გატანის პირობები.

მეოთხე: შეამოწმეთ, ვის ანგარიშზე რიცხავთ თანხას, ემთხვევა თუ არა მიმღები ხელშეკრულებაში მითითებულ პირს.

და რაც მთავარია, არ ენდოთ ფრაზებს „მხოლოდ დღეს“, „ბოლო შესაძლებლობაა“ ან „თუ ახლა არ ჩადებ, შანსს დაკარგავ“.

მოდი, ახლა მე წაგიკითხავთ სიტუაციებს, თქვენ კი ხელის აწევით მანიშნეთ, საეჭვოა თუ არა.

შენიშვნა: 17-20 სლაიდებზე თითოეულ ქეისზე შემოიფარგლეთ მხოლოდ ხელის/ცერის ჩვენებით და არ გააკეთებინოთ კომენტარები.

სლაიდი 17:

ბანკის ვებგვერდზე ნახეთ შეთავაზება: „გახსენით ვადიანი დეპოზიტი და მიიღეთ საპროცენტო სარგებელი“. მითითებულია საპროცენტო განაკვეთი, დეპოზიტის ვადა და თანხის ვადამდე გამოტანის პირობები.

სიტუაციაში საეჭვო ნიშნები არ ჩანს, თუმცა ბანკის ნამდვილობა და დეპოზიტის პირობები მაინც უნდა გადავამოწმოთ.

სლაიდი 18:

საბროკერო კომპანია გთავაზობთ ანგარიშის გახსნას, რომლის საშუალებითაც სხვადასხვა კომპანიის აქციების შეძენას შეძლებთ. კონსულტანტი გიხსნით, რომ აქციის ფასი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს, მოგება გარანტირებული არ არის და მომსახურებას საკომისიო აქვს. გადაწყვეტილების მიღებამდე შეგიძლიათ გაეცნოთ პირობებს.

სიტუაციაში საეჭვო ნიშნები არ ჩანს. ეს ჩვეულებრივი საინვესტიციო მომსახურების მაგალითია. მიუხედავად ამისა, უნდა გადავამოწმოთ მომსახურების მიმწოდებელი და გავითვალისწინოთ აქციების ფასის ცვლილების რისკი.

სლაიდი 19:

სოციალურ ქსელში გხვდებათ შეთავაზება: „ჩადე ფული და ძალიან მალე ბევრად მეტს მიიღებ! რისკი თითქმის არ არსებობს. თან, თუ ორ მეგობარსაც მოიყვან, ისინიც ფულს ჩადებენ და შენ კიდევ უფრო მეტს მიიღებ.“

სიტუაცია საეჭვო ჩანს - მაღალი გარანტირებული სარგებელი და ახალი მონაწილეების მოზიდვა მნიშვნელოვანი გამაფრთხილებელი ნიშნებია.

სლაიდი 20:

გწერთ უცნობი პირი, რომელიც თავს საინვესტიციო კომპანიის წარმომადგენლად გაცნობთ: „დღესვე გადმორიცხეთ თანხა პირად ანგარიშზე და ერთ კვირაში 40%-იან მოგებას მიიღებთ. შეთავაზება მხოლოდ დღეს მოქმედებს.“

დაჩქარება, უჩვეულოდ მაღალი მოგების დაპირება და ბუნდოვანი პირობები საეჭვოა.

ყოჩაღ! თქვენ ამოიცანით, რომელი შეთავაზებები შეიცავდა გამაფრთხილებელ ნიშნებს და რომელი უფრო ჰგავდა ჩვეულებრივ ფინანსურ პროდუქტს. გახსოვდეთ: საბოლოო გადაწყვეტილებამდე ყოველთვის საჭიროა ინფორმაციის გადამოწმება.

სლაიდი 21:

რადგან ფინანსურ თაღლითობაზე ვსაუბრობთ, გახსოვდეთ, რომ ფინანსური უსაფრთხოების წესების დაცვა მხოლოდ ინვესტიციებს არ ეხება. ის ყოველდღიურ გადახდებსა და პირად მონაცემებსაც მოიცავს. არასდროს გაუზიაროთ სხვებს თქვენი მობილბანკის პაროლი, საბანკო ბარათის მონაცემები - ბარათის ნომერი, უსაფრთხოების კოდი, პინ კოდი და ერთჯერადი კოდი. არ გადახვიდეთ საეჭვო ბმულებზე, რომლებიც რაიმეს მოსაგებად ბარათის ან მობილბანკის მონაცემების შეყვანას ითხოვენ.

არ ენდოთ ზედმეტად კარგ შემოთავაზებებს. თუ რამეში ეჭვი გეპარებათ, გადაამოწმეთ ინფორმაცია ბანკთან ან სხვა სანდო წყაროსთან, ჰკითხეთ მშობელს.

იმედი მაქვს, ყოველთვის ყურადღებით იქნებით საეჭვო შემოთავაზებებთან და თქვენი ოჯახის წევრებსაც გაუზიარებთ ამ ინფორმაციას. ახლა კი, შეგვიძლია თამაშზე გადავიდეთ.

ნაწილი 2: თამაში „გამოიცანი სიტყვა“ - ინსტრუქცია (45 წთ)

მომზადება:

- **მონაწილეების დაყოფა:** დაყავით კლასი ოთხ გუნდად. დარწმუნდით, რომ თითოეულ გუნდს აქვს თითო კალამი და რამდენიმე პატარა ფურცელი (პასუხების დასაწერად).
- **დაფის მომზადება:** დაწერეთ დაფაზე ოთხივე გუნდის ნომერი და მოამზადეთ ცარცი ან მარკერი ქულების ჩასაწერად.
- **ტელეფონის მომზადება:** მზად გქონდეთ წამზომი

თამაშის მიზანი

გუნდები ეჯიბრებიან ერთმანეთს ფინანსური ტერმინების სწორად გამოცნობაში, მინიშნებების საფუძველზე. გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელიც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს.

ქულების მინიჭება

- ტერმინის გამოცნობა 1 მინიშნებით: 3 ქულა
- ტერმინის გამოცნობა 2 მინიშნებით: 2 ქულა
- ტერმინის გამოცნობა 3 მინიშნებით: 1 ქულა
- სხვა გუნდის ტერმინის გამოცნობა (იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშე გუნდმა ვერ გამოიცნო): 1 ქულა

ბარათების განაწილება

- თამაშში არის 3 სირთულის ბარათი: 10 მარტივი, 20 საშუალო და 21 რთული;
- ჯერ დაიწყეთ მარტივი ბარათებით და შემდეგ გადადით რთულზე;
- თითო წრეზე ყველა გუნდს თანაბარი სირთულის ბარათები უნდა შეხვდეს;
- გაათამაშეთ იმდენი ბარათი, რამდენსაც მოასწრებთ გაკვეთილზე, არ არის აუცილებელი ყველა ბარათის გათამაშება, მთავარია ყველა გუნდს თანაბარი რაოდენობის ბარათების შეხვდეს გამოსაცნობად.

სასაუბრო ტექსტი:

ახლა კი დროა, თამაშით ვისწავლოთ ფინანსური ტერმინები. ამისთვის, 4 გუნდად დაგყოფთ. თამაშის მიზანი არის ის, რომ გუნდებმა მინიშნებების საფუძველზე სწორად გამოიცნოთ რაც შეიძლება მეტი ფინანსური ტერმინი ჩვენი ბარათებიდან.

თამაში ასე მიმდინარეობს: გუნდებმა რიგრიგობით უნდა გაათამაშოთ ბარათები. გამოვა პირველი გუნდიდან 1 მონაწილე, რომელიც ხმამაღლა წაიკითხავს პირველ მინიშნებას - პასუხი კი თავისმა გუნდმა უნდა გამოიცნოს. გუნდს გამოსაცნობად და ერთმანეთში შესათანხმებლად 15 წამი გექნებათ, ამის შემდეგ, ხმამაღლა უნდა დააფიქსიროთ გუნდის პასუხი. მიიღება მხოლოდ 1 პასუხი! თუ პასუხი არ გაქვთ პირველივე მინიშნებაზე, შეგიძლიათ დაელოდოთ შემდგომ მინიშნებებს და შემდეგ დააფიქსიროთ პასუხი.

- თუ პასუხი სწორია, გუნდს მიენიჭება 3 ქულა
- თუ პასუხი არასწორია, გუნდს მიენიჭება 0 ქულა. დანარჩენ გუნდებს გექნებათ შესაძლებლობა, თქვენთვის პატარა მოცემულ პატარა ფურცლებზე 15 წამის განმავლობაში დაწეროთ თქვენი პასუხი. გუნდებს, რომლის პასუხიც სწორი იქნება, მიენიჭებათ 1-1 ქულა. ამიტომ გთხოვთ, სხვა გუნდების მონაწილეებსაც ყურადღებით მოუსმინოთ და თქვენი პასუხები წინასწარ არ წამოიძახოთ.
- თუ გუნდი პასუხს არ ამბობს, მონაწილე კითხულობს მეორე მინიშნებას და გუნდი კვლავ 15 წამის განმავლობაში აფიქსირებს პასუხს. თუ პასუხი სწორია, გუნდს ენიჭება 2 ქულა. ხოლო თუ მესამე მინიშნების შემდეგ გამოიცნობთ პასუხს, მოგენიჭებათ 1 ქულა.

ქულებს მეც ჩამოვწერ დაფაზე, მაგრამ გთხოვთ თქვენც მოინიშნოთ თქვენთვის, რადგან არაფერი გამოგვრჩეს.

მზად ხართ? დავიწყოთ.

თამაშის მსვლელობა:

გუნდებიდან თითო მონაწილე გამოგყავთ რიგ-რიგობით (საათის ისრის მიმართულებით).

გუნდის მონაწილე: იღებს ერთ-ერთ ბარათს და კითხულობს მხოლოდ პირველ მინიშნებას.

შესაბამისი გუნდი: 15 წამის განმავლობაში თანხმდება ერთმანეთში და აფიქსირებს მხოლოდ 1 პასუხს ხმამაღლა.

დანარჩენი გუნდები: პასუხს არ აფიქსირებენ ხმამაღლა, არამედ წერენ პატარა ფურცლებზე თავიანთი გუნდის ნომერთან ერთად და 15 წამის განმავლობაში გაწვდიან/იღებთ თქვენ.

გუნდის მიერ პასუხის ხმამაღლა დაფიქსირებისას გვაქვს 3 ვარიანტი:

1) **პასუხს არ აფიქსირებს** - მონაწილე გადადის შემდეგი მინიშნების წაკითხვაზე, სანამ მინიშნებები არ ამოიწურება.
2) **პასუხი არასწორია** - გუნდს ენიჭება 0 ქულა, სხვა გუნდებს აქვთ პასუხების წერილობით დაფიქსირების შესაძლებლობა - სწორი პასუხი 1 ქულა (ნებისმიერ ეტაპზე)
3) **პასუხი სწორია** - გუნდს ენიჭება: 3 ქულა, თუ გამოიცნო პირველივე მინიშნებაზე, 2 ქულა - მეორე მინიშნებაზე, 1 ქულა - მესამე (ან ზოგი ბარათის შემთხვევაში მეოთხე) მინიშნებაზე.

თქვენ წამზომით ინიშნავთ თითოეული პასუხის დროს.

თითო ბარათის გათამაშების მაქსიმალური დროა 1 წუთი. გათამაშების ბოლოს მონაწილე სრულად კითხულობს ყველა მინიშნებას (რომლებიც მანამდე არ წაკითხულა) და სწორ პასუხს.

ამის შემდეგ დგება მეორე გუნდის ჯერი და ა.შ. თითოეული გუნდის ქულას აფიქსირებთ დაფაზე.

თამაშის დასასრულს, აჯამებთ ქულებს და ასახელებთ გამარჯვებულ გუნდს.

ნაწილი 3: თამაში „ფინანსური ფეხბურთი“ - ინსტრუქცია (15 წთ)

მომზადება:

- **მონაწილეების დაყოფა:** დაყავით კლასი 2 გუნდად
- **თამაშის ჩატვირთვა:** შედით https://geo.financialfootball.com/ka/play - დაელოდეთ თამაშის ჩატვირთვას და გაშალეთ მთელს ეკრანზე -> დააჭირეთ თამაშის ღილაკს -> აირჩიეთ ერთჯერადი მატჩი -> აირჩიეთ ქალების ან კაცების ფეხბურთი (ჰკითხეთ მოსწავლეებს) -> აირჩიეთ თემა - პირადი ფინანსები და სირთულე (მაგ., საშუალო) -> აირჩიეთ ერთმანეთთან თამაში და დრო - 5 წთ.

თამაშის მიზანი

გუნდები ფეხბურთის თამაშში ეჯიბრებიან ერთმანეთს კითხვებზე პასუხების სწორად გამოცნობაში, რათა გაიტანონ გოლი.

სასაუბრო ტექსტი:

ახლა, კიდევ ერთი თამაში ვითამაშოთ. იმედია ფეხბურთი ყველას გიყვართ. თუმცა, რადგან დღეს ფინანსური განათლების გაკვეთილი გვაქვს, ეს **ფინანსური ფეხბურთი** იქნება. თანაგუნდელისთვის ბურთის გადასაცემად და გოლების გასატანად, კითხვებზე პასუხის სწორად გაცემა არის საჭირო. ამისთვის 2 გუნდად გავიყოფით. პასუხი გუნდურად უნდა მოიფიქროთ და 30 წამის განმავლობაში ხმამაღლა თქვათ, მე კი ეკრანზე თქვენს პასუხებს მოვნიშნავ. მზად ხართ? მაშინ დავიწყოთ.

თამაშის დაწყება

- თითოეული გუნდი ირჩევს სასურველ ქვეყანას
- ეკრანზე გამოსული გუნდი ასახელებს - ავერსს ან რევერსს
- იწყებს შესაბამისი გუნდი

თამაშის მსვლელობა

- ეკრანზე გამოსული გუნდი ირჩევს ტაქტიკას - თავდაცვითი (მარტივი კითხვები), დაბალანსებული (საშუალო სირთულის კითხვები) ან აგრესიული (რთული კითხვები) - თქვენ აჭერთ შესაბამის ღილაკს.
- ეკრანზე კითხვის გამოსვლისას, ხმამაღლა კითხულობთ შეკითხვას, შესაბამისმა გუნდმა 30 წამის განმავლობაში ხმამაღლა უნდა დაასახელოს 1 პასუხი - თქვენ აჭერთ შესაბამის ღილაკს.
- თანაბარი ანგარიშის შემთხვევაში, ინიშნება პენალტების სერია, სადაც გუნდები რიგრიგობით ისევ პასუხობენ შეკითხვებს.

შენიშვნა: ყურადღება მიაქციეთ დროს - თამაშში დრო არ ჩერდება და ავტომატურად დაგიწერთ ტაიმის, ან მატჩის დასრულებას. ასევე, არ გჭირდებათ ქულების დათვლა, თამაშში ავტომატურად გამოვლინდება გამარჯვებული გუნდი - გოლების რაოდენობის მიხედვით. ასევე, ბოლოს, სტატისტიკის გამოტანით, შეგიძლიათ ნახოთ, თითოეულ გუნდს რამდენი შეკითხვა და რამდენი სწორი პასუხი ჰქონდათ.

სავარაუდოდ, მოასწრებთ ორ მატჩს.

სასაუბრო ტექსტი:
(შეჯამება)

ყოჩაღ, ყველა გუნდი ძალიან კარგი იყო! როგორც ფინანსური ტერმინების გამოცნობაში, ასევე კითხვებზე პასუხში. თითოეულ თამაშში გამარჯვებული ერთი გუნდი გვყავს, თუმცა ვფიქრობ, ფინანსური ტერმინები უკვე ყველამ იცით.

ასევე იცით, რომ ფინანსური მიზნების მისაღწევად საჭიროა რეგულარულად, თუნდაც მცირე თანხების დაზოგვა. იცით, სად შეიძლება შეინახოთ დანაზოგი, ან როგორ გააკეთოთ ინვესტირება და რაც მთავარია, ყველა ფინანსურ შემოთავაზებას ბრმად არ უნდა ენდოთ.

დიდი მადლობა თქვენი ჩართულობისთვის! გისურვებთ წარმატებას!